

შპს იმერის
ფინანსური ანგარიშგება

*2023 წლის 31 დეკემბრით მდგომარეობით
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	-2-
2. ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	
2.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	-7-
2.2 სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება	-8-
2.3 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	-9-
2.4 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	-10-
3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	-11-

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს იმერის დამფუძნებლებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს იმერის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს იმერის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2024 წლის 17 იანვარს და ამიტომ ვერ დავაკვირდით 2022 წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგისა და ნაღდი ფულის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2022 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგისა და ნაღდი ფულის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგისა და ფულადი სახსრების საწყისი და საბოლოო ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების კორექტირება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს იმერისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს იმერის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების

საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შპს იმერის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს იმერის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს იმერის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს იმერის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს იმერი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და

შპს იმერის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ზვიადი კობახიძე. (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-571699)

შპს აუდიტი და კონსულტაცია (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-530872)

ზვიადი კობახიძე

გარიგების პარტნიორი

ხელმოწერა

თარიღი

შპს აუდიტი და კონსულტაცია

შპს იმერის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს იმერის ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	<u>5</u>	2,893,803	2,402,196
არამატერიალური აქტივები		47,157	47,157
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,940,960	2,449,353
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	<u>6</u>	13,909,260	14,942,092
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	<u>7</u>	3,376,936	4,623,733
გაცემული სესხი		1,991,666	941,018
ფული და ფულის ეკვივალენტები	<u>8</u>	255,956	336,295
სულ მოკლევადიანი აქტივები		19,533,818	20,843,138
სულ აქტივები		22,474,778	23,292,491
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		7,852,746	7,463,753
სულ კაპიტალი		7,852,746	7,463,753
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	<u>9</u>	2,030,721	3,996,635
საგადასახადო ვალდებულებები		22,785	64,748
მოკლევადიანი სესხი	<u>10</u>	12,568,526	11,767,355
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		14,622,032	15,828,738
სულ ვალდებულებები		14,622,032	15,828,738
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		22,474,778	23,292,491

შპს იმერის დირექტორი

შპს იმერის მთავარი ბუღალტერი

_____ ზაური ფესვიანიძე

_____ მანანა ხეცურიანი

შპს იმერის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს იმერის ინდივიდუალური სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები ლარში)

	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი		33,375,464	31,709,022
რეალიზაციის თვითღირებულება	<u>11</u>	(25,443,315)	(23,567,555)
საერთო მოგება		7,932,149	8,141,467
საოპერაციო ხარჯები	<u>12</u>	(6,405,029)	(6,002,439)
საოპერაციო მოგება		1,527,120	2,139,028
ფინანსური ხარჯი/შემოსავალი	<u>13</u>	(967,539)	(760,100)
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან		(300,575)	429,946
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		129,986	306,123
მოგება დაბეგვრამდე		388,993	2,114,997
მოგების გადასახადი			
წლის წმინდა მოგება		388,993	2,114,997
სხვა სრული შემოსავალი			
სულ წლის სრული შემოსავალი		388,993	2,114,997

შპს იმერის დირექტორი

შპს იმერის მთავარი ბუღალტერი

_____ **ზაური ფესვიანიძე**

_____ **მანანა ხეცურიანი**

შპს იმერის ფულადი სახსრების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

	2023 წელი	2022 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2,172,094	(2,197,437)
წმინდა ფულადი სახსრები რეალიზაციიდან	38,596,513	37,338,700
გადახდილი მომწოდებლებზე	(28,936,176)	(32,241,795)
გადახდილი ხელფასები	(3,539,333)	(3,206,261)
გადახდილი გადასახადები	(3,948,909)	(4,088,081)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,060,092)	(1,203,070)
სესხის გაცემა	(849,307)	(705,783)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,210,785)	(497,287)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(200,678)	3,665,685
მიღებული სესხი	53,296,293	47,999,942
გადახდილი სესხი და %	(53,496,970)	(44,334,258)
სავალუტო კურსის ეფექტი	8,337	
მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	8,337	(143,951)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(80,339)	121,227
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	336,295	215,068
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	255,956	336,295

შპს იმერის დირექტორი

შპს იმერის მთავარი ბუღალტერი

_____ **ზაური ფესვიანიძე**

_____ **მანანა ხეცურიანი**

შპს იმერის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს იმერის კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემული ათას ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ ზარალი	სულ
31-Dec-19	0	3,931,262	3,931,262
შენატანები კაპიტალში			
პერიოდის შემოსავალი/გასავალი		(490,165)	(490,165)
გადახდილი დივიდენდი		(412,620)	(412,620)
31-Dec-20	0	3,028,477	3,028,477
შენატანები კაპიტალში		-	-
პერიოდის შემოსავალი/გასავალი		2,320,279	2,320,279
გადახდილი დივიდენდი			
31-Dec-21	0	5,348,756	5,348,756
შენატანები კაპიტალში		-	-
პერიოდის შემოსავალი/გასავალი		2,114,997	2,114,997
გადახდილი დივიდენდი			
31-Dec-22	0	7,463,753	7,463,753
შენატანები კაპიტალში		-	-
პერიოდის შემოსავალი/გასავალი		388,993	388,993
გადახდილი დივიდენდი			
31-Dec-23	0	7,852,746	7,852,746

შპს იმერის დირექტორი

_____ **ზაური ფესვიანიძე**

შპს იმერის მთავარი ბუღალტერი

_____ **მანანა ხეცურიანი**

შპს იმერის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

1. ინფორმაცია „კომპანიის“ შესახებ

შპს იმერი (შემდგომში „კომპანია“ ს/ნ 430032582) არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია: ზესტაფონი უშ. ჩხეიძის ქ. N 96

„კომპანიის“ საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ავეჯის მასალისა და აქსესუარების იმპორტი და რეალიზაცია, ასევე ავეჯის წარმოება და რეალიზაცია;

„კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

კომპანიის დამფუძნებელია ფიზიკური პირი ნუგზარი ჩინჩალაძე (პ/ნ 18001003021) 100% იანი წილით

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია დამფუძნებელთა კრებაზე.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS For SMEs) შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

საგადასახადო კანონმდებლობა. „კომპანია“ თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საფუძველს წარმოადგენს დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კომპანიის გაუნაწილებელმა მოგებამ 2022 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინა 7,737 ათასი ლარი. 2023 წელი კომპანიამ დაასრულა

მოგებით. კომპანიას გააჩნია თავისი სტაბილური ბაზარი და რეალიზაციების მოცულობას მზარდი დინამიკა აქვს.

შესაბამისად ვთვლით, რომ გვაქვს საკმარისი საფუძველი იმისა, რომ კომპანია ჩაითვალოს ფუნქციონირებად საწარმოდ.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

4.1 სამუშაო ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

4.2 ძირითადი საშუალებები

4.2.1 აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწვევისთანავე აისახება მოგება-ზარალში.

ასევე ობიექტური აუცილებლობის შემთხვევაში, ხდება მათი გადაფასება მსს ფასს მე-17 განყოფილების მოთხოვნათა დაცვით.

ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის დაჩქარებული მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. მიწას ცვეთა არ ხდება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

შენობა-ნაგებობები	20-30 წლამდე
მანქანები და მოწყობილობები	20 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	6 წლამდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	15 წლამდე

4.2.2 აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება:

(ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან

(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსს ფასს სტანდარტის მე-20 განყოფილება – „იჯარა“ - მოითხოვს განსხვავებული მიდგომის გამოყენებას, აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის შემთხვევაში). ასეთი სახის შემოსულობას არ ენიჭება ამონაგების კლასიფიკაცია.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

4.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით.

შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხებათ წრფივი მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება ასევე წრფივი მეთოდით. ამასთან სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ცალკეული აქტივისათვის ინდივიდუალურად საუკეთესო შეფასების საფუძველზე იმ წინაპირობით, რომ ეს ვადა არ აღემატება 10 წელს.

4.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა FIFO ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

4.5 ფინანსური ინსტრუმენტები

მსს ფასს მე-11 განყოფილების 11.2 (ბ) პუნქტის შესაბამისად, კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვას აწარმოებს ბასს 39-ის მიხედვით.

4.5.1 ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „კომპანიამ“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარდება ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

4.5.2 ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. „კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

„კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიიჩნევა საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

4.5.3 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა და აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს „კომპანიისათვის“. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი აისახება მათი გაწევის პერიოდში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა დანახარჯებისგან, რომლებსაც „კომპანია“ გაიღებს სესხის მისაღებად.

4.6 გადასახადები

4.6.1 მოგების მიმდინარე გადასახადი

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება „კომპანიას“ არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

4.6.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

► თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

► დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების მუხლში.

4.7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს.

4.8 შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

4.9 აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად.

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
 - ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
 - ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
 - ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.
- ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

5. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2018 წლიდან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს იმერის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	ტრანსპორტი	სხვა	სულ
31.12. 2017 წმინდა საბალანსო ღირებულება	8,515	27,601	0	2,892	39,014
შესყიდვები	607,631	20,640	469,244	5,931	1,103,443
2018 წლის ცვეთა	125,976	9,649	93,849	1,765	231,239
31.12.2018 წმინდა საბალანსო ღირებულება	490,170	38,595	375,395	7,058	911,218
შესყიდვები	902,528	14,055	66,944	53,241	1,036,773
2019 წლის ცვეთა	281,286	10,530	88,468	12,060	392,344
31.12.2019 წმინდა საბალანსო ღირებულება	1,111,417	42,120	353,871	48,239	1,555,647
შესყიდვები	2,072,437	3,535	235,905	54,413	2,338,032
2020 წლის ცვეთა	636,508	8,424	70,774	20,436	736,142
31.12.2020 წმინდა საბალანსო ღირებულება	2,547,346	37,231	519,002	82,216	3,185,795
შესყიდვები	70,608	11,958	1,822	16,399	100,787
2021 წლის ცვეთა	528,743	10,404	131,389	19,629	690,165
31.12.2021 წმინდა საბალანსო ღირებულება	2,089,211	38,785	389,435	78,986	2,596,417
შესყიდვები	266,548	56,939		78,647	402,133
2022 წლის ცვეთა	479,952	13,090	71,880	31,432	596,355
31.12.2022 წმინდა საბალანსო ღირებულება	1,875,807	82,634	317,555	126,200	2,402,196
შესყიდვები	1,035,750	19,282	97,781	57,972	1,210,785
2023 წლის ცვეთა	592,692	12,748	76,998	36,740	719,178
31.12.2023 წმინდა საბალანსო ღირებულება	2,318,865	89,168	338,338	147,432	2,893,803

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგების სტრუქტურა 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგნაირადაა:

	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
საქონელი	13,540,782	14,606,422
ნედლეული და მასალები	301,459	280,365
სხვა აქტივები	67,019	55,305
სულ	13,909,260	14,942,092

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების სტრუქტურა 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
სავაჭრო მოთხოვნები	609,174	239,299
წინასწარ გადახდები	2,767,762	4,384,434
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,376,936	4,623,733

8. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფულისა და ფულის ექვივალენტების სტრუქტურა 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
ნაღდი ფული სალაროში	176,174	188,760
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	176,174	188,760
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	0	0
ფული საბანკო ანგარიშებზე	79,782	147,536
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	69,369	143,861
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	10,413	3,674
სულ	255,956	336,295

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სტრუქტურა 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
სავაჭრო ვალდებულებები	560,933	3,468,543
მიღებული ავანსები	1,469,788	528,092
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,030,721	3,996,635

10. მოკლევადიანი აღებული სესხები

კომპანიის მოკლევადიანი სესხების სტრუქტურა 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
სესხის ძირითადი თანხა	12,109,903	11,201,958
მათ შორის: ლარში	3,062,459	2,155,481
აშშ დოლარში	1,282,505	3,999,118

შპს იმერის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

ევროში	7,764,939	5,047,359
გადასახდელი პროცენტი	468,622	565,397
მათ შორის: ლარში	126,985	385,226
აშშ დოლარში	52,929	85,541
ევროში	288,708	94,630
სულ	12,568,525	11,767,355

11. რეალიზაციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზაციის თვითღირებულების სტრუქტურა 2023 და 2022 წლებისათვის ასეთია:

	2023 წელი	2022 წელი
გახარჯული ნედლეული და მასალები და ხელფასი	23,866,598	22,101,199
საწვავისა და ტრანსპორტირების ხარჯი	856,999	870,000
ცვეთა და ამორტიზაცია	719,718	596,355
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	25,443,315	23,567,555

12. საოპერაციო ხარჯები

კომპანიის საოპერაციო ხარჯების სტრუქტურა 2023 და 2022 წლებისათვის ასეთია:

	2023 წელი	2022 წელი
კომუნალური	64,667	25,463
კომუნიკაციის ხარჯები	42,165	33,714
ხელფასი	3,551,027	3,102,191
მივლინება	18,050	21,164
საიჯარო ქირა	2,026,710	2,049,161
სხვა ხარჯი	702,410	770,746
სულ საოპერაციო ხარჯი	6,405,029	6,002,439

13. ფინანსური ხარჯი/შემოსავალი

კომპანიის მიერ გაწეული ფინანსური ხარჯის სტრუქტურა 2023 და 2022 წლებისათვის ასეთია:

	2023 წელი	2022 წელი
საპროცენტო შემოსავალი	112,216	0

საბანკო (მ.შ. ტერმინალუბისათვის)	(219,900)	(203,257)
საპროცენტო ხარჯი	(859,854)	(556,843)
სულ	(967,539)	(760,100)

14. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ასს 24 -ით „მნიშვნელოვანი დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

(ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.

(გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.

(ზ) დასაქმების შემდგომი შედავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ ცხრილებში მოცემულია ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ოპერაციები:

	ფინანსური ხარჯები	ფინანსური შემოსავალი
სხვა დაკავშირებული მხარე	49	104,940
უმაღლესი რანგის ხელმძღვ.	1,798	-
მესაკუთრე	1,496	-
უმაღლესი რანგის ხელმძღვ. ანაზღაურება	-	7,175
შესაბ. მუხლის მთლიანი თანხა ფმა-ში	1,079,755	112,116

ნაშთები:

შპს იმერის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

		31 დეკემბერი 2023		31 დეკემბერი 2022	
ფინანსური ანგარიშგების მუხლი	ურთიერთობა	ნაშთი	შესაბ.	ნაშთი	შესაბ.
		დაკავშ. მხარეებთან	მუხლის მთლ. თანხა ფმა-ში	დაკავშ. მხარეებთან	მუხლის მთლ. თანხა ფმა-ში
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა დაკავშირებული მხარე	103,533	2,030,721	1,011,411	3,996,421
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სხვა დაკავშირებული მხარე	60,720	3,376,936	32,517	4,623,733
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	მესაკუთრე	0	3,376,936	170	4,623,733
მიღებული სესხი	უმაღლესი რანგის ხელმძ.	182,480	12,568,525	348,628	11,787,857
მიღებული სესხი	მესაკუთრე	660,104	12,568,525	323,936	11,787,857
მიღებული სესხი	სხვა დაკავშირებული მხარე	139,425	12,568,525	205,803	11,787,857
გაცემული სესხი	სხვა დაკავშირებული მხარე	1,755,427	1,875,557	937,430	937,430
გაცემული სესხი	უმაღლესი რანგის ხელმძ.	116,542	1,875,557	0	937,430

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 23 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც მოითხოვდა 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

შპს იმერის დირექტორი:

ზაური ფესვიანიძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„იმერი“

მმართველობის ანგარიშგება

ინდივიდუალური

- ისტორია, მმართველობა და განვითარების გეგმები

შპს „იმერი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2016 წლის 26 ივნისს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, რეგისტრაციის ნომერი B16092927, საიდენტიფიკაციო ნომერი 430032582. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ზესტაფონი, უმ.ჩხეიძის ქ. N 96 . კომპანია ახორციელებს ავეჯის მსასაღების იმპორტს და მის დამუშავებას (დაჭრა, დაწიბოვება, ტრანსპორტირება და სხვა)

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჩინჩალაძე, ხოლო დირექტორი საქართველოს მოქალაქე ზაური ფესვიანიძე.

კომპანიის ხელმძღვანელმა დაარსების პირველივე დღიდან განსაზღვრა მთავარი კურსი - მაღალი ხარისხი, ეფექტური მენეჯმენტი და კვალიფიციური კადრები.

მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევა შესაძლებელია კვალიფიციური პარტნიორების მეშვეობით. კომპანიის პარტნიორები არიან დარგის ლიდერი კომპანიები საერთაშორისო მასშტაბით:

HOLZHER;

HOLZ MANN;

COMBILIFT;

და სხვა...

დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2023 წლისთვის შეადგენდა 193 ადამიანს. კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობას მზარდი ტენდენცია ახასიათებს და ყოველწლიურად იზრდება შეკვეთების ზრდის პროპორციულად.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს:

- 1) ავეჯის მასალების იმპორტი,
- 2) ავეჯის მასალის დაჭრა სხვადასხვა სახის დანადგარზე,
- 3) მასალი დაწიბოვება,
- 4) პროფილის ჩარჩოს შეკვრა,
- 5) ავეჯის აწყობა
- 6) ტრანსპორტირება

7) CNC მომსახურება

8) დასქელების მომსახურება

კომპანიას გააჩნია ინვენტარი და საქმიანობისთვის საჭირო მანქანა-დანადგარები.

- კომპანიის მომავალი განვითარების გეგმა**

კომპანიას ჰყავს დამკვეთები როგორც ფიზიკური პირები ასევე ორგანიზაციები. ხარისხიანად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მას გააჩნია ბევრი წარმატებით დასრულებული კონტრაქტი. კომპანია არის მომავალ გრძელვადიან მოგებაზე ორიენტირებული, ამიტომ ყოველწლიურად ზრდის საკუთარ აქტივებს, მათ შორის გრძელვადიან აქტივებს. მას ჰყავს ასევე გამოცდილი პერსონალი, აქვს ხარისხის მართვის განყოფილება, რაც მომავალში მის მიერ პროექტის ხარისხიანად განხორციელების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

- ინფორმაცია ფილიალების შესახებ**

შპს „იმერი“ ფუნქციონირების ძირითად არეალს წარმოადგენს თბილისი და ქუთაისი. თბილისის და ქუთაისის ფილიალებში განთავსებულია მანქანა-დანადგარები, სავაჭრო ცენტრები.

- ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები**

მაჩვენებელი	2023	2022
შემოსავალი	33,375,464	31,709,022
ზღვრული მოგება	7,932,149	8,141,467
მთლიანი საოპერაციო მოგება	1,527,120	2,139,028
წმინდა მოგება/ზარალი	388,993	2,114,997
ზღვრული რენტაბელობა (ზღ.მოგება/თვითღირებულება)	23.77%	25.68%
რენტაბელობა (წმინდა მოგება/თვითღირებულება)	1.53%	8.97%
ლიკვიდობის კოეფიციენტი (აქტივები/პასივები)	1,54	1,47
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი (მიმდ. აქტ. / მიმდ. პას.)	1,34	1,32
თანამშრომელთა რაოდენობა	193	183

შპს „იმერი“ მიზნად ისახავს მინიმუმამდე დაიყვანოს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. კომპანიის გრძელვადიანი გეგმაა სრულად ჩაანაცვლოს მოძველებული ტექნიკა ახალი თანამედროვე ევროპული სტანდარტის მანქანა-დანადგერებით. კომპანიაში ფუნქციონირებს შრომის უსაფრთხოების სამსახური და შესაბამისად, მუდმივად ახორციელებს გარემოსდაცვითი საქმიანობისა და შრომის უსაფრთხოების ზომების მონიტორინგს.

- მაკროეკონომიკური პირობები

კომპანია ძირითადად საქართველოში საქმიანობს და შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკური ფაქტორები.

ვალუტის მერყეობა

კომპანიაზე მოქმედებს ვალუტის მერყეობა ბიზნესგარემოსა და საქმიანობის დარგის სპეციფიკის გამო. კომპანიას სამუშაოების განსახორციელებლად ესაჭიროება მასალები, რომელთა დიდი ნაწილის შესყიდვაც ხორციელდება უცხოელი მომწოდებლებისაგან, ხოლო ნაწილის შესყიდვა ხდება ადგილობრივი მომწოდებლებისაგან, ღირებულებაზე გავლენას ახდენს სავალუტო კურსი. შესაბამისად, არსებობს სავალუტო რისკი.

- უსაფრთხოების მხარდაჭერა

ჩვენი კომპანიისთვის მნიშვნელოვანია, იმ ადამიანების უსაფრთხოება, რომლებიც ჩვენთან არიან დასაქმებულები ან რომლებთანაც ვთანამშრომლობთ.

ჩვენი სტრატეგიაა, სისტემურად გადავჭრათ უსაფრთხოების საკითხი არა მხოლოდ წარმოების ობიექტებზე, არამედ მთელი კომპანიის მასშტაბით.

- საკადრო საკითხები

ჩვენი წარმატების მთავარი ფაქტორი არის ერთიანი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელსაც შეუძლია კომპანიის მიზნების მიღწევა. ჩვენი სერიოზულად ვეკიდებით საუკეთესო პროფესიონალების მოძიებას და მოზიდვას, მათი საქმიანობების დაკმაყოფილებას, მათ პროფესიულ განვითარებაში ინვესტიციის ჩადებას

და მათი ერთგულების წახალისებას. ადამიანური კაპიტალის მართვის განყოფილება და მართვის სისტემა, რომელსაც ის განახორციელებს, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ჩვენი ყველაზე ძვირფასი რესურსის - ჩვენი თანამშრომლების მართვაში. ადამიანური კაპიტალის მართვის განყოფილება შეიმუშავებს ადამიანური რესურსების პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებითაც განისაზღვრება ძირითადი პრინციპები, მიმართულებები, მიდგომები დამეთოდები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ყველა საქმიანობისთვის ადამიანური კაპიტალის მართვის სისტემების შექმნისთვის. ჩვენი ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და პროცედურების მაგალითებია:

- დასაქმების დაგეგმვა და ახალი თანამშრომლების მოზიდვა
- კადრების ადმინისტრირება
- ხელფასები და კომპენსაციები
- ქცევის კოდექსი
- თანამშრომელთა განვითარება და გადამზადება
- ადამიანური უფლებები
- საჩივრები

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს ადამიანური უფლებების დაცვის მნიშვნელობა და ჩვენი ბიზნესსაქმიანობა ყოველთვის ატარებს სოციალურ პასუხისმგებლობას. ჩვენი ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკით განსაზღვრულია პრიორიტეტები და კონტროლის პროცედურები იმისათვის, რომ ყველას თანაბარი შესაძლებლობები შევუქმნათ და არ დავუშვათ დისკრიმინაცია ან შევიწროება ნებისმიერ ნიადაგზე, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების გამო ან/და ეთნიკური ნიშნით. ჩვენი ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკა ეხება ყველა თანამშრომელს და მოიცავს სამუშაოზე დასაქმების (მათ შორის ახალი თანამშრომლების აყვანის პროცედურები და იმ პირების დასაქმების გაგრძელების პროცედურები, რომლებმაც შრომისუნარიანობა კომპანიაში მუშაობის დროს დაკარგეს), პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის პროცესებთან დაკავშირებულ პროცედურებს. ჩვენ ვზრუნავთ თანამშრომელთა ჩართულობასა და მოტივაციაზე.

სამუშაო ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნა კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრევენციულ ზომებს, როგორცაა თანამშრომლების რეგულარული ტრენინგების და სამედიცინო შემოწმების ჩატარება, სამუშაო ადგილების სერტიფიცირება და ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისება. მმართველობას სჯერა, რომ იგი მიიღებს ყველა საჭირო ზომას, რათა მხარი დაუჭიროს ჯგუფის ბიზნესის მდგრად განვითარებას.

დირექტორი

ზაური ფესვიანიძე

შპს აუდიტი და კონსულტაცია

სს/IN.: 405490650

ტელ/Tel.: (+995) 599 56 23 19

მის: ქ.თბილისი ანა პოლიტოვსკაიას ქ.27/41

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს იმერის დამფუძნებელს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს იმერის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა შენიშვნა მოსაზრებას სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს იმერის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2024 წლის 17 იანვარს და ამიტომ ვერ დავაკვირდით 2022 წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგისა და ნაღდი ფულის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2022 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგისა და ნაღდი ფულის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგისა და ფულადი სახსრების საწყისი და საბოლოო ნაშთი მონაწილეობს

ფინანსური შედეგებისა განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების, მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშების კორექტირება.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს იმერისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს იმერის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს

ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შპს იმერის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს იმერის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვვრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს იმერის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ

აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს იმერის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს იმერი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ზვიადი კობახიძე. (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-571699)

შპს აუდიტი და კონსულტაცია (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-530872)

ზვიადი კობახიძე

გარიგების პარტნიორი

ხელმოწერა

თარიღი


24.09.2024წელი

შპს აუდიტი და კონსულტაცია

შპს იმერის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს იმერის ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	<u>5</u>	2,893,803	2,402,196
არამატერიალური აქტივები		47,157	47,157
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,940,960	2,449,353
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	<u>6</u>	13,909,260	14,942,092
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	<u>7</u>	3,376,936	4,623,733
გაცემული სესხი		1,991,666	941,018
ფული და ფულის ეკვივალენტები	<u>8</u>	255,956	336,295
სულ მოკლევადიანი აქტივები		19,533,818	20,843,138
სულ აქტივები		22,474,778	23,292,491
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		7,852,746	7,463,753
სულ კაპიტალი		7,852,746	7,463,753
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	<u>9</u>	2,030,721	3,996,635
საგადასახადო ვალდებულებები		22,785	64,748
მოკლევადიანი სესხი	<u>10</u>	12,568,526	11,767,355
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		14,622,032	15,828,738
სულ ვალდებულებები		14,622,032	15,828,738
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		22,474,778	23,292,491

შპს იმერის დირექტორი



ზაური ფესვიანიძე

შპს იმერის მთავარი ბუღალტერი

[Handwritten signature]

მანანა ხეცურიანი

შპს იმერის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს იმერის ინდივიდუალური სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები ლარში)

	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი		33,375,464	31,709,022
რეალიზაციის თვითღირებულება	<u>11</u>	(25,443,315)	(23,567,555)
საერთო მოგება		7,932,149	8,141,467
საოპერაციო ხარჯები	<u>12</u>	(6,405,029)	(6,002,439)
საოპერაციო მოგება		1,527,120	2,139,028
ფინანსური ხარჯი/შემოსავალი	<u>13</u>	(967,539)	(760,100)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		(300,575)	429,946
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		129,986	306,123
მოგება დაბეგვრამდე		388,993	2,114,997
მოგების გადასახადი			
წლის წმინდა მოგება		388,993	2,114,997
სხვა სრული შემოსავალი			
სულ წლის სრული შემოსავალი		388,993	2,114,997

შპს იმერის დირექტორი



ზაური ფესვიანიძე

შპს იმერის მთავარი ბუღალტერი

მანანა ხეცურიანი

შპს იმერის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს იმერის ფულადი სახსრების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

	2023 წელი	2022 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2,172,094	(2,197,437)
წმინდა ფულადი სახსრები რეალიზაციიდან	38,596,513	37,338,700
გადახდილი მომწოდებლებზე	(28,936,176)	(32,241,795)
გადახდილი ხელფასები	(3,539,333)	(3,206,261)
გადახდილი გადასახადები	(3,948,909)	(4,088,081)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,060,092)	(1,203,070)
სესხის გაცემა	(849,307)	(705,783)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,210,785)	(497,287)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(200,678)	3,665,685
მიღებული სესხი	53,296,293	47,999,942
გადახდილი სესხი და %	(53,496,970)	(44,334,258)
სავალუტო კურსის ეფექტი	8,337	
მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	8,337	(143,951)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(80,339)	121,227
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	336,295	215,068
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	255,956	336,295

შპს იმერის დირექტორი



ზაური ფესვიანიძე

შპს იმერის მთავარი ბუღალტერი

მანანა ხეცურიანი

შპს იმერის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს იმერის კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემული ათას ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ ზარალი	სულ
31-Dec-19	0	3,931,262	3,931,262
შენატანები კაპიტალში			
პერიოდის შემოსავალი/გასავალი		(490,165)	(490,165)
გადახდილი დივიდენდი		(412,620)	(412,620)
31-Dec-20	0	3,028,477	3,028,477
შენატანები კაპიტალში		-	-
პერიოდის შემოსავალი/გასავალი		2,320,279	2,320,279
გადახდილი დივიდენდი			
31-Dec-21	0	5,348,756	5,348,756
შენატანები კაპიტალში		-	-
პერიოდის შემოსავალი/გასავალი		2,114,997	2,114,997
გადახდილი დივიდენდი			
31-Dec-22	0	7,463,753	7,463,753
შენატანები კაპიტალში		-	-
პერიოდის შემოსავალი/გასავალი		388,993	388,993
გადახდილი დივიდენდი			
31-Dec-23	0	7,852,746	7,852,746

შპს იმერის დირექტორი



ზაური ფესვიანიძე

შპს იმერის მთავარი ბუღალტერი

მანანა ტყეშელაშვილი


შპს იმერის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	ურთიერთობა	31 დეკემბერი 2023		31 დეკემბერი 2022	
		ნაშთი დაკავშ. მხარეებთან	შესაბ. მუხლის მთლ. თანხა ფმა- ში	ნაშთი დაკავშ. მხარეებთან	შესაბ. მუხლის მთლ. თანხა ფმა-ში
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა დაკავშირებული მხარე	103,533	2,030,721	1,011,411	3,996,421
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სხვა დაკავშირებული მხარე	60,720	3,376,936	32,517	4,623,733
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	მესაკუთრე	0	3,376,936	170	4,623,733
მიღებული სესხი	უმაღლესი რანგის ხელმძ.	182,480	12,568,525	348,628	11,787,857
მიღებული სესხი	მესაკუთრე	660,104	12,568,525	323,936	11,787,857
მიღებული სესხი	სხვა დაკავშირებული მხარე	139,425	12,568,525	205,803	11,787,857
გაცემული სესხი	სხვა დაკავშირებული მხარე	1,755,427	1,875,557	937,430	937,430
გაცემული სესხი	უმაღლესი რანგის ხელმძ.	116,542	1,875,557	0	937,430

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 23 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღდილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც მოითხოვდა 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

შპს იმერის დირექტორი:
ზაური ფესვიანიძე



ყველას თანაბარი შესაძლებლობები შევუქმნათ და არ დავუშვათ დისკრიმინაცია ან შევიწროება ნებისმიერ ნიადაგზე, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების გამო ან/და ეთნიკური ნიშნით. ჩვენი ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკა ეხება ყველა თანამშრომელს და მოიცავს სამუშაოზე დასაქმების (მათ შორის ახალი თანამშრომლების აყვანის პროცედურები და იმ პირების დასაქმების გაგრძელების პროცედურები, რომლებმაც შრომისუნარიანობა კომპანიაში მუშაობის დროს დაკარგეს), პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის პროცესებთან დაკავშირებულ პროცედურებს. ჩვენ ვზრუნავთ თანამშრომელთა ჩართულობასა და მოტივაციაზე.

სამუშაო ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნა კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრევენციულ ზომებს, როგორიცაა თანამშრომლების რეგულარული ტრენინგების და სამედიცინო შემოწმების ჩატარება, სამუშაო ადგილების სერტიფიცირება და ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისება. მმართველობას სჯერა, რომ იგი მიიღებს ყველა საჭირო ზომას, რათა მხარი დაუჭიროს ჯგუფის ბიზნესის მდგრად განვითარებას.

დირექტორი

ზაური ფესვიანიძე

